1 ივლისი

ორშაბათი
2024

(18.VI) წმ. ღირსი მიქაელ ულუმბელი, მონაზონი, VIს

ამ 2,6-10.13-16; ფს 49; მთ 8,18-22

კაცის ძეს არა აქვს თავის მისადრეკელი

მთ 8,20

ერთ მწიგნობარს იესოს მიმდევრობა გადაუწყვეტია, ის კი, იმის ნაცვლად, რომ მისი განზრახვით გაიხაროს, გამოცდას უწყობს. რას ელოდები? რაიმე გამორჩენას? სარგებელი მხოლოდ სულიერი ხასიათის იქნება და არა მატერიალური. იესოს რომ გაყვე, მზად უნდა იყო ყველაფრის დასათმობად, თვით საკუთარი სიცოცხლისაც კი.

2 ივლისი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XIII კვირა [I], მწ

ამ 3,1-8; 4,11-12; ფს 5; მთ 8,23-27

მაინცა არ მოქცეულხართ რემჭვენ ამ 4,11

წინასწარმეტყველს ღმრთისაგან დაევალა
იმ ხალხთან მკაცრი საუბარი, ვისაც სჯერა,
რომ მისი მორჩილების გარეშეც იცხოვრებენ.
ეს ცხოვრება კი არა, დაღუპვაა! თუ ფუჭად
ჩაივლის ტანჯვა, რომელიც აქამდე ჩვენ თავს
მივაყენეთ, რაღა იმოქმედოს ღმერთმა, რომ
ჩვენში აღძრას მასთან დაბრუნების სურვი-
ლი, რომ მოვუსმინოთ და შევიყვაროთ იგი?

3 ოთხშაბათი: 2024

ივლისი

წმ. თომა მოციქული, (დ), [ს], წ

ეფ 2,19-22; ფს 116; იო 20,24-29

ურწმუნო ნუ იქნები, მორწმუნე იყავ იო 20,27

ჩვენ უკვე ვიცით თომას ურწმუნოება და რწმენა. რწმენამდე იგი იესოს გულმოწყალეობის ძალით მივიდა, ვინც თავისი კეთილგანწყობით შვება მიანიჭა. მოციქულს მართლაც შეეძლო თითით შეხებოდა, მაგრამ რწმენა ებოძა მოულოდნელ წყალობად. რწმენის წყალობა მაშინ გვეძლევა, როდესაც თავს დავიმდაბლებთ და სხვებს ჩვენზე ქმედითად მივიჩნევთ, რამეთუ ვერწმუნებით მათი სიხარულის მოწმეობას.

4 ივლისი

ხუთშაბათი
2024

(21.VI) წმ. არჩილი, საქართველოს მეფე, +744;
წმ. ელისაბედი, პორტუგალიის დედოფალი, +1336

ამ 7,10-17; ფს 18; მთ 9,1-8

ეამცნევდი, შვილო, მოგეტევა შენი ცოდვები მთ 9,2

ვინ იცის, რას გრძნობდა ის დავრდომილი, როცა მას იესომ „შვილი“ უწოდა! უფლის სიყვარულმა სიცოცხლის ფესვებამდე ჩააღწია. სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, იესოს შეხვდეს: ეს არის რწმენა, რომელიც ღმერთთან გვაახლოებს, რწმენა, რომელსაც პატიება მოაქვს. სწორედ ეს არის ყველაზე ჭეშმარიტი სასწაული, იმდენად დიდი, რომ ის ადამიანი განკურნების გარეშეც განაგრძობს ცხოვრებას.

5 ივლისი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XIII კვირა [I], მწ

წმ. ანტონ მარია ზაქარია, ხუცესი, ბარნაბიტთა დამაარსებელი, +1539 კრემონაში (იტალია)

ამ 8,4-6.9-12; ფს 118; მთ 9,9-13

მომყევი მთ 9,9

ერთი სიტყვა: „გამომყევი!“. ბრძანებაა? მოწვევა? მათემ შეიგრძნო სიყვარული, ის სიყვარული, რამაც მთლიანად დაიპყრო მისი სული. და აჰა, იგი იესოს უკან დგას, ისეთი დიდი სიხარულით შეპყრობილი, რომ ლამის ქორწილივით ნადიმს აწყობს კოლეგებისა და მეგობრებისთვის.

6 ივლისი

შაბათი
2024

რიგითი ჟამის XIII კვირა [I], მწ

წმ. მარია გორეტი, ქალწული და წამებული, +1902 ნეტუნოში (იტალია)

ამ 9,11-15; ფს 84; მთ 9,14-17

დავაბრუნებ რემს ერს ტყვეობიდან ამ 9,14

წინასწარმეტყველები მხოლოდ სასჯელს არ უნდა აუწყებდნენ. ამგვარ მუქარას იმიტომ მიმართავენ, რომ არავინ შეეცადოს ღვთის ნების დაბრკოლებას, რომელიც ხალხის ხსნა და კეთილდღეობაა. ხალხში მორჩილების და რწმენად მოქცევის ნება რომ გააღვივონ, ისინი ღვთის ჭეშმარიტ სურვილს აცხადებენ: რათა იხაროს მთელმა მისმა ერმა.

7 ივლისი

კვირა 2024

რიგითი XIV კვირადღე, «ბ», [II], მწ

ეზეკ 2,2-5; ფს 122; 2კორ 12,7-10; მარ 6,1-6

ეს რა სიბრძნე მიეცა მას? მარ 6,2

ნაზარეველებს ესმით, რომ იესოს საუბრები სავსეა ცხოვრებით, სინათლით, სიყვარულით, ყოველივე იმით, რაც გულს ახალისებს და ავსებს: სიბრძნეს ღაღადებენ მისი სიტყვები. კაცთაგან ჯერ არ სმენიათ ესოდენ მდიდარი სიტყვები. მათ უკვე შეეძლოთ იმის აღიარება, რომ ღმრთისაგან მოდიოდნენ, იმ ღმრთისაგან, ვისაც უყვარს ადამიანები.

8 ივლისი

ორშაბათი
2024

ოს 2,16-18.21-22; ფს 144; მთ 9,18-26

ეამხნევდი, ასულო, შენმა რწმენამ გიხსნა შენ მთ 9,22

იგი შეშინებული იყო, რამეთუ უნებართვოდ შეეხო იესოს მოსასხამს, ისე, რომ არაფერი გაუმხელია. ღმერთმა მოიწონა მისი რწმენა, თუნდაც დაფარული; ახლა კი, ყველას წინაშე უნდა აღიაროს ეს რწმენა, რათა გაცხადდეს იესო – ღმერთის დიდება.

9 ივლისი

სამშაბათი
2024

Рригитти ჟამის XIV კვირა [II], მწ

წმმ. ავგუსტინე ჟაო რონგი, ხუცესი, +1815, და მისი მეგობრები, ჩინეთში წამებულნი +1648-1930წწ.

ოს 8,4–7.11–13; ფს 113ბ; მთ 9,32–38

ევედრეთ სამკლისა უფალსა,
მოავლინოს მუშაკნი მთ 9,38

მუნჯი და ეშმაკეული კაცი, აწ დახსნილი, თავისუფლად ლაპარაკობს. როგორ თრგუნავს ხალხს ამგვარი ტანჯვა! რამხელა შრომაა გაწეული ცათა სასუფეველში! იესო ფიქრობს მომავალზე, როდესაც პირადად ვეღარ იმოქმედებს: რას გააკეთებენ მოწაფეები? ისინი მამის განგებას შესთხოვენ, მოავლინოს ისინი, ვისაც იესოს დარად უყვარს!

10 ივლისი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XIV კვირა [II], მწ

(27.VI) წმ. ღირსი გიორგი მთაწმინდელი, +1065, (მ), თ

ოს 10,1–3.7–8.12; ფს 104; მთ 10,1–7

პირველი, სიმონი, პეტრედ წოდებული მთ 10,2

თავად იესო იხმობს ცათა სასუფეველში პირ-
ველ მუშაკებს. ირჩევს თორმეტს, მათ შორის
არიან იაკობის ვაჟები. წესრიგი და სიცხადე
სუფევს მათში: არის ერთი, პირველწოდებუ-
ლი, რომელიც ყოველთვის პირველი და-
რჩება: მას სიმონი ჰქვია, იაკობის ძის მსგა-
ვსად, რომელიც იოსებმა მძევლად აიყვანა
ეგვიპტეში. ის ურყევი იქნება, როგორც სალი
კლდე, რაზეც შეიძლება შენობის აგება.

11 ივლისი

ხუთშაბათი
2024

წმ. ბენედიქტე, აბატი, ევროპის მფარველი
+547 მონტე კასინოში (იტალია) დ, [ს], თ

იგ 2,1-9; ფს 33; მთ 19,27-29

რაბათში ბენედიქტელ დედათა დღესასწაული

საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს მთ 19,29

ვინც ყოველივეს დაუტევებს და თავისი ნებით გაჰყვება იესოს, ურყევ მემკვიდრეობას – მარადიულ ცხოვრებას შეიძენს. როგორი იქნება ის? დღეს ამაზე პასუხს მივღებთ წმინდა ბენედიქტესაგან. მარადიულია ცხოვრება, რომელიც ფულზე და სიმდიდრეზე არაა დამოკიდებული. მას ეს არ სჭირდება და, რომც სჭირდებოდეს, სიყვარულისა და კაცთა ტანჯვისაგან გამოსახსნელად მიმართავდა. მარადიული ცხოვრება მამა ღმერთის ალერსიანი და ძლიერი გულია.

12 ივლისი

პარასკევი
2024

ოს 14,2-10; ფს 50; მთ 10,16-23

თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში მთ 10,20

ეს განსაკუთრებული მისია დაეკისრა თორმეტს, რაც იოლად იწვევს ადამიანებში შუღლს. მათ ამ მისიას ისეთ სამყაროში უნდა შეასხან ხორცი, სადაც ადამიანი ადამიანისთვის მგელია. ხოლო ისინი, კრავები იქნებიან, დაუცველები. ეს მათ არ აწუხებთ, რამეთუ იესო ეუბნება: „თქვენი მამის სული“ იქნება თქვენში, რათა შეეწიოს თქვენს მოწმეობას.

13 ივლისი

13 შაბათი 2024

რიგითი ჟამის XIV კვირა [II], მწ

(30.VI) წმ. დინარ დედოფალი, X ს;
წმ. ჰენრიხი, გერმანიის იმპერატორი, +1024 ბამბერგში

ეს 6,1-8; ფს 92; მთ 10,24-33

მრავალ ბეღურაზე უკეთესნი ხართ მთ 10,31

თუკი ბეღურები ასე ძვირფასნი არიან ღმრთის თვალში – ისინი ხომ მისი ქმნილებები არიან – რაოდენ უფრო ძვირფასნი იქნებიან ისინი, ვინც ღებულობს მის კვალში სიარულისაკენ მოხმობას! მათ იციან, რომ ღმერთი მათ გვერდითაა, მათი მოკავშირეა, უყვარს ისინი და ამიტომაც, ყველა შიშს კარში ტოვებენ. აუწყებენ მიღებულ სიტყვას, სიტყვას, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებს მას, ვისაც ჯერ კიდევ არ გააჩნია.

14 ივლისი

კვირა 2024

რიგითი XV კვირადღე, «ბ», [III], მწ

[წმ. კამილო დე ლელისი, ხუცესი, ჰოსპიტალიერ ბერთა, კამილიელთა ორდენის დამაარსებელი, +1614 რომში]

ამ 7,12-15; ფს 84; ეფეს 1,3-14; მარ 6,7-13

კამილიელ მამათა და დედათა დღესასწაული, სნეულთა და მედმუშაკთა მფარველი

დაიწყო მათი დაგზავნა წყვილ-წყვილად მარ 6,7

იესო სამოქმედო პროგრამას აძლევს თორმეტს. იესოსათვის, ცათა სასუფევლისთვის საჭირო გარჯა, სიმდიდრის შექმნაში კი არ მდგომარეობს, არამედ ერთმანეთის მიმართ ძმურ ცხოვრებაში, უთანხმოების, ეგოიზმის გარეშე ცხოვრებაში. ასეთი გარჯა ადამიანებს ეგოიზმისა და შუღლისაგან ათავისუფლებს, მათში სიყვარულის ნებას აძლიერებს. ჭეშმარიტად ამ გზით მდიდრდება ცხოვრება! სწორედ ეს საქმე მიენდო თორმეტს.

15 ივლისი

ორშაბათი
2024

რიგითი ჟამის XV კვირა [III]

წმ. ბონავენტურა, ალბანოს ეპისკოპოსი და კარდინალი, ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1274 ლიონში კრების დროს, (მ), თ

ეს 1,10-17; ფს 49; მთ 10,34 – 11,1

ვინცა შეასმევს... ერთს ამ მცირეთაგან...
მოწაფის სახელით... მთ 10,42

იესო გვეუბნება, რომ მას ვერ შევიყვარებთ საფრთხისა და რისკის გარეშე. და მაინც, ეს ერთადერთი გზაა სამყაროს შესაცვლელად. იესოს მოყვარული სულ სხვა სიმაღლეზე დგას, იგი არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ღმრთაებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. თვით ისინიც კი, ვინც არაფერი უწყოდა მასზე, თავიანთ სარგებელს იღებენ, ეზიარებიან ღმრთის მშვენიერ და ალერსიან გულს.

16 ივლისი

სამშაბათი
2024

(3.VII) წმ. ღ. გიორგი ღმერთშემოსილი, დაყუდებული, +1068;
კარმელის მთის ნ. ქალწული მარიამი

ეს 7,1-9; ფს 47; მთ 11,20-24

მშვიდად იქავ და ნუ დაფრთხები ეს 7,4

წინასწარმეტყველი, მძიმე განსაცდელის წუთებში, ამხნევებს მეფეს. მტრები კარიბჭეს მოადგნენ., მაგრამ მხოლოდ მტრები როდი არიან: მას შეუძლია ღმერთთან ღმერთთან კავშირის იმედი ჰქონდეს. თუ მას დაემორჩილება, შიში არ ექნება, და თუ არად ჩათვლის, უარესს მიიღებს: „თუ არ გჯერათ, ურწმუნონი ყოფილხართ!“

მე მჯერა შენი, უფალო!

17 ოთხშაბათი: 2024

ივლისი

ეს 10,5-7.13-16; ფს 93; მთ 11,25-27

ყოველივე მოგვცა მამისაგან მთ 11,27

მამას აღარაფერი აბადია, მან ხომ ყველაფერი თავის ძეს მისცა. ამიტომაც, უნდა შევუერთდეთ ძეს, რათა ვხარობდეთ მამის სიკეთით, ვცხოვრობდეთ საღმრთო ცხოვრებით. და რას ნიშნავს „ყველაფერი“ მისცა, რასაც ახლა ძე განკარგავს? „ყველაფერი“ - ეს უანგარო სიყვარულის სისრულეა. მამას აღარაფერი აბადია გასაცემი!

18 ივლისი

ხუთშაბათი
2024

ეს 26,7-9.12.16-19; ფს 101; მთ 11,28-30

მოდით ჩემთან მთ 11,28

რა დიდსულოვანი მოწვევაა! იესომ კარგად უწყის, რარიგ დამაშვრალნი და ჩაგრულნი, დაუძლურებულნი და დათრგუნულნი ვართ ჩვენი და ამქვეყნიური ცოდვებით. ამიტომ გვიხმობს თავისთან. ჩვენით როდი შეწუხდება, პირიქით, თავისი სინაზით და გულმოწყალებით, ჩვენს ცხოვრებას შეცვლის. გმადლობ, იესო!

19 ივლისი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

ეს 38,1-6.21-22.7-8; საგ.: ეს 38,10.11.12.16; მთ 12,1-8

კაცის ძეა შაბათის უფალი მთ 12,8

თუკი უფალი „შაბათის მბრძანებელია“, მაშ, თავის ნებაზე შეუძლია განკარგოს ეს დღე და განკარგავს კიდეც სადიდებლად ღმერთისა, ვინც უბოძა შაბათი იმ დღედ, როდესაც ადამიანმა უნდა შეძლოს დასვენება მძიმე ჯაფიდან და სავსე ცხოვრებიდან. საჭმლის მომზადება ჯაფა როდია, ეს სიხარულია, რითაც შეგვიძლია ღმერთი ვაკურთხოთ!
იესო, შენ იყავ უფალი მთელი ჩემი დროისა!

20 ივლისი

შაბათი 2024

რიგითი ჟამის XV კვირა [III], მწ

წმ. აპოლინარიუსი, რავენის ეპისკოპოსი და წამებული, III ს.

მიქ 2,1-5; ფს 9ბ; მთ 12,14-21

რემს სულს დაუდებ მასზე მთ 12,18

მიქა წინასწარმეტყველის სიტყვას აცხადებს იესო თავისი ქმედებით. წინასწარმეტყველი სწორედ მასზე ლაპარაკობს. იგია, ვინც ყველას კურნავს და ამით არ იქადის. თავმდაბლობით ცხოვრობს, დაფარულში, ზუსტად ისე, როგორც წინასწარმეტყველი ამბობს. მასში არ აღიძვრის სხვა სული, გარდა მშვიდობისა და სიყვარულის ღმერთის მამობრივი მოწყალებისა.

21 ივლისი
კვირა 2024

რიგითი XVI კვირადღე, «ბ», [IV], მწ

[წმ.ლავრენტი ბრინდიზელი, ხუცესი, ფრანცისკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1619 ლისაბონში]

იერ 23,1-6; ფს 22; ეფეს 2,13-18; მარ 6,30-34

კამილიელი მ. პავლე შჩეპანეკის გახსენება (+1999)

წამოდით უდაბურ ადგილას მარ 6,31

იესო, შენ უწყი, რომ ნამდვილი ძალთა აღ-
მდგენელი მოსვენება, შენთან გატარებული
დროა. შენთან მთელი არსებით ყოფნა ძალე-
ბს აღგვიდგენს, რათა სიყვარულში დავრჩეთ.
ვიღებ შენს მოწვევას და მოვდივარ. შენგან
მუდმივად გამოდის სინათლე და ძალა, რო-
მელიც ყოველივე განაახლებს.

22 ორშაბათი 2024

ივლისი

წმ. მარიამ მაგდალელი,
უფლის მოწაფე დ, [ს], თ

ქებ 3,1–4 ან, 2კორ 5,14–17; ფს 62; იო 20,1–2.11–18

დ. ნოელ ლოკატელის გახსენება (+2019)

უთხრა იესომ: „მარიამ“ იო 20,16

მარიამ მაგდალინელს თვალები
ცრემლებით დანამოდა და ხელში
ნელსაცხებელი ეჭირა, როცა შენმა ხმამ,
მისი სახელის წარმოთქმით, შეაფხიზლა.
აწ იგი გხედავს, იესო, და გცნობს.
მეც მონაწილე ვარ მისი სიხარულის, ვინც
დედამიწაზე პირველი აუწყებს, რომ შენ აღ-
სდექი და საუკუნოდ ცოცხლობ.

23 ივლისი

სამშაბათი
2024

წმ. ბრიგიდა შვედი, ევროპის მფარველი,
ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი,
+1373 რომში [ს], თ

ტობ 8,4ბ-7(ვულ 5-10) ან, გალ 2,19-20; ფს 33; იო 15,1-8 ან, მარ 3,31-35

მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი იო 15,1

წმინდა ბრიგიტა, ისევე როგორც წმინდა კატერინა, მისი თანამედროვე, იმავე ვაზის ლერწამია. ენით, მამულით, გამოცდილებით განსხვავებული ლერწამი, მაგრამ ერთსა და იმავე ნაყოფს იძლევა, რაც კაცობრიობის სიხარულს კვებავს. იესოსთან მყოფი, თავის სიცოცხლეს უძღვნის მოყვასებს! ამიტომაც არის იგი ევროპის მფარველი: მძიმე მისია, რომელიც უხვ ნაყოფს გამოიღებს!

24 ოთხშაბათი: 2024

ივლისი

წმ. სარბელიუს მახლუფი, ხუცესი, ბერი ლიბანში +1898

იერ 1,1.4–10; ფს 70; მთ 13,1–9

კამილიელი მ. ნინო (ჯანჯიროლამო) მარტინის გახსენება (+2017)

ეამო-ვიდა მთესავი თესვად

მთ 13,3

იესო, ვინ იცის სად ვარდება შენი სიტყვა, თუნდაც მაშინ, როცა წარმოვთქვამ ან ვწერ! ყველა როდი გამოიღებს ნაყოფს, ყველა როდი გამოკვებს ადამიანებს. მაგრამ, თუკი მის თესვას შეწყვეტთ, სადღა გაიხარებს? იესო, შენი სიხარული შემეწევა, რომ შემა-რთებით გავაგრძელო შენი სიტყვის თესვა, რამეთუ მეოთხედი მაინც ხომ მოხვდება ნოყიერ ნიადაგში.

25 ხუთშაბათი 2024

ივლისი

წმ. იაკობ მოციქული, დ, [ს], წ;

(12.VII) ღირსნი იოანე და გაბრიელ ათონელნი, X ს.

2კორ 4,7-15; ფს 125; მთ 20,20-28

რემს ბარძიმს შესვამთ მთ 20,23

იესოს ეს დაპირება განხორციელდა. იაკობმა შესვა ვნების თასი, მოციქულებთან ერთად ციხეში ყოფნის დროსაც და შემდეგ მარტოც, როცა თავი მოჰკვეთეს.

მეც შევსვა შენი თასი, იესო? როგორ? მე მაშინ შევსვამ, როცა სიცოცხლის ბოლო წუთებში შენს ხელებს ჩავბარდები, ამჟამადაც, როცა შენ გაბარებ ჩემთვის ძვირფას ნივთებსა და ძალას.

26 ივლისი

პარასკევი
2024

რიგითი ჟამის XVI კვირა [IV]

წმ. იოაკიმე და წმ. ანა, მშობელნი ნ. ქ. მარიამისა, (მ), თ

იერ 3,14–17; საგ.: იერ 31,10–13; მთ 13,18–23

მოგცემთ თქვენ რჩემს მოსაწონ მწყემსებს

იერ 3,15

ვიდრე იესო გვიხსნის იგავს თესლის შესახებ, რომელიც ყველგან ვარდება, წინასწარმეტყველი იერემია მანუგეშებელ აღთქმას გვიტოვებს. კაცთაგან დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს, ხოლო ღმერთი არ დატოვებს თავის ხალხს, არ მიატოვებს თავის ეკლესიას. მისმიერი თვინიერი გულის მწყემსები გვეყოლება! მეყოფა თავმდაბლობა, რომ გავყვე მათ და მათ მფარველობაში დავრჩე, რათა დანარჩენ ცხვრებთან ერთად იზრუნონ ჩემზე?

27 შაბათი 2024

ივლისი

იერ 7,1-11; ფს 83; მთ 13,24-30

ისმინეთ უფლის სიტყვა, იუდას მკვიდრნო. იერ 7,2

რამდენჯერ გვსმენია ეს მოწვევა: ისმინეთ! ღმერთი ლაპარაკობს, რამეთუ სურს, მასთან ურთიერთობაში ვიყოთ; მის სიყვარულში ჩაძირულები ვხარობდეთ მასთან ზიარებით. მოსმენა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. თავად იესოა სიტყვა, ანუ მამის სარწმუნო და სიბრძნით სავსე სიტყვა. მოსმენა პირველი და ნამდვილი სიყვარულია, რითაც ჩვენ ვპასუხობთ მას, რასაც მისგან ვიღებთ.

28 ივლისი

კვირა 2024

რიგითი XVII კვირადღე, «ბ», [I], მწ

[(15.VII) წმმ. ივლიტა და კვირიკე, წამ. (+≈305)]

4მეფ 4,42-44; ფს 114; ეფეს 4,1-6; იო 6,1-15

დასხით ისინი

იო 6,10

იესო პასუხობს მოწაფეებს, რომლებიც შეშფოთებულნი არიან შექმნილი ვითარებით. მოძღვრის სიტყვით მაძღარი ხალხის ბრბო, ახლა დაპურებას ელის. პური კი იმდენად ცოტა აქვთ, რომ ვერ გაუმხელიათ. იესოს ეს დიდად არ აწუხებს. მან იცის, რომ მამა ყოველივეს ხედავს. იგი ემორჩილება მის სიყვარულს და მორჩილებას ითხოვს მოწაფეებისა და ბრბოსაგან. მოწაფეები დასხდომისკენ მოუწოდებენ ბრბოს და ისინიც ემორჩილებიან: პურს ის მიიღებს, ვინც დასხდება!

29 ივლისი

ორშაბათი
2024

წმ. მართა, მარიამი და ლაზარე, უფლის მოწაფენი. (მ), თ

იერ 13,1-11; საგ.: რჯლ32; იო 11,19-27 ან ლკ 10,38-42

მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე

იო 11,25

ლაზარეს საფლავის წინ მდგომი იესო, თავის ვინაობას აცხადებს. აქამდე მას იცნობდნენ როგორც ორი დის და გარდაცვლილის მეგობარს, მაგრამ ახლა ყველა იგებს გასაოცარ, გამაოგნებელ, თვით გაუგებარ ჭეშმარიტებას. იგი ჩვენთვის ის სიცოცხლეა, რომელიც ამ წუთისოფელზე აგვამაღლებს, რომელიც გვამყოფებს „მასში“, მაგრამ არა გვაქცევს მის კუთვნილებად. მისით უნდა ვიკვებოთ, ეს რომ გავიგოთ, უფრო მეტიც, საიდუმლო რომ შევიცნოთ.

30 ივლისი

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XVII კვირა [I], მწ

წმ.პეტრე ქრიზოლოგი,რავენის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +≈451

იერ 14,17-22; ფს 78; მთ 13,36-43

როგორც აკრეფენ სარეველას
და წვავენ ცეცხლში, ასევე... მთ 13,40

მარტივი იგავიადა აღწერს ვითარებას, რაშიც ხშირად აღმოვჩენილვართ. გვაქვს იმის წყალობა, რომ კარგ ხორბალს შევედაროთ, თუმცა ხშირად გარემოცულნი ვართ მათი არსებობით, ვინც ხელს გვიშლის სასუფევლისთვის ნაყოფის გამოღებაში. მდაბალი და ქველი გულით ველოდებით მოსავლის აღებას. და მაშინ, ჩვენც, განწმენდილნი, ღვთის შვილებად გავბრწყინდებით.

31 ივლისი

ოთხშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XVII კვირა [I]

წმ. ეგნატე ლოიოლა, ხუცესი, იეზუიტთა დამაარსებელი, +1556 რომში, (მ), თ

იერ 15,10.16-21; ფს 58; მთ 13,44-46

შენთან ვიქნები შენს დასახსნელად იერ 15,20

ღმერთი ანუგეშებს წინასწარმეტყველს, არ მიატოვებს ბოროტთა ხელში, მის დაღუპვას რომ ლამობენ. ეს არის წინასწარმეტყველება იესოს სიკვდილზე და აღდგომაზე, რომლის მოსვლასაც ყველა წინასწარმეტყველი აუწყებს. იგი დაფარულში რჩება, როგორც განძი უსარგებლო მინდორში. განძის აღმომჩენი, ისევე როგორც მაძიებელი და მარგალიტის მპოვნელი, ყიდის რაც კი რამ აბადია: ის ფასდაუდებელია, ვერაფერი მას ვერ მიედრება!